ხელშეკრულება №82

44400000- სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნები

ქ. თერჯოლა

27 სექტემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ "თერჯოლის დასუფთავების და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ფანჩულიძის სახით და მეორეს მხრივ შპს "რაპაკა" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის კახაბერ გვეტაძის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში- ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მათთან დაკავშირებული საგნების (შემდგომში –საქონელი) (CPV კოდი: 44400000,) შესყიდვა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 15-00 (თხუთმეტი) ლარს.

3. მხარეთა უფლება –მოვალეობა:

3.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსტექტირება.

3.2.შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.3.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3.4.მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-4 მუხლში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ქ. ქუთაისში 2018 წლის 15 ოქტომბრამდე.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორება

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

6.2. პირგასამტეხლოს გადახადა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია , თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. მხარე ვალდებულია 7.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7.7. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითეული გადაეცემა მხარეებს.

8. დაუძლეველი ძალა

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის გზები

9.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 15 ნოემბრამდე.

შემსყიდველი

ა(ა)იპ "თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური"

მისამართი: ქ.თერჯოლა რუსთაველის ქ.№109.

ს/კოდი: 431945274,

ხაზინის ერთიანი ანგარიში: 204931440

სახ. ხაზინა: TRESGE22

ანგ. №. GE24NB0330100200165022

დირექტორი ... განნელიძე

მიმწოდებელი

შპს "რაპაკა"

მის: ქ.ქუთაისი,

წერეთლისა და ჯიბლაძის 35/2

ს/კოდი: 412 704 505

ბანკი: სს "პროკრედიტ ბანკი"

თერჯოლის ფილიალი,

ბანკის კოდი: MIBGGE22

ანგ. № GE54PC0013600100045900

555 12 21 12

RAPAKA
სარეკლამო კომპანია
შპს რაპაკა
412704505

დირექტორი: კახაბერ ბვეტაძე

დანართი 1

საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ღირებულება
შტამპი	ცალი	1	15	15
ჯამი				15-00

შემსყიდველი
(ა)იპ თერჯოლის [illegible] და
კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური
დირექტორი: ტ. ფანჩულიძე

მიმწოდებელი
შპს „რაპაკა"
დირექტორი კახაბერ [illegible]